რეაგირება შენიშვნებზე
ვაზისუბნის მე-4 მ/რ, ალუბლების ქუჩაზე (ნაკვეთი 01.17.07.031.068) დაგეგმილი მშენებლობისთვის ტრანსპორტის ზემოქმედების კვლევასთან დაკავშირებით

შენიშვნები:
გამოსასწორებელია:
• მოდალური განაწილების პროცენტული მაჩვენებლები არასწორია. წარმოდგენილი უნდა იყოს დილის პიკის საათებში საცხოვრებლიდან გენერირებული მგზავრობების და საღამოს პიკის საათებში საცხოვრებლისკენ მიზიდული მგზავრობების მოდალური განაწილება.

მოდალური განაწილების პროცენტული მაჩვენებლები აღებულია Systra -ს ცხრილიდან მე-17 მაკრო ზონისთვის, ხოლო საერთო მგზავრობების შესაბამისი დაპროცენტების შედეგად (დილით გენერირებული 30% და საღამოს მიზიდული 22%) მიღებულია მგზავრობების მოდალური განაწილება ამ ობიექტისთვის. გასწორდა ტექნიკური ხასიათის ხარვეზი და ცხრილში დაზუსტდა სვეტების დანიშნულება - დილის გენერირებული და საღამოს მიზიდული მგზავრობები - **გვ. 69, ცხრილი 75**.

• მაცხოვრებლების და მგზავრობების რაოდენობები, რეკომენდებულია, დათვლილი იყოს საცხოვრებელი სუფთა ფართობიდან. წარმოდგენილი პროექტის მიხედვით, საცხოვრებელი ფართობი შეადგენს 5581.2 კვ.მ, შესაბამისად, ზეგავლენის შეფასებაც წარმოდგენილი პროექტის შესაბამისი უნდა იყოს.

მაცხოვრებლების საერთო რაოდენობა, როგორც დამპროექტებლები ანგარიშობენ საცხოვრებელ ფართობს, აღებულია წმინდა საცხოვრებელი და საზაფხულო ფართობების ჯამიდან 41-ე დადგენილების შესაბამისად და უდრის 358 მაცხოვრებელს, ხოლო ბინების ფართობების ჯამის მეთოდით, როგორც პროექტში ჩაიდო, გამოდის 365 მაცხოვრებელი (7-ით მეტი). შესაბამისად, ანგარიში შესრულდა უდიდესი რაოდენობის მიხედვით - რაც **ცხრილი 73-თან შენიშვნაშია ახსნილი (გვ. 68).**

• გვ. 24-25. თუმცა, ზოგიერთი კოეფიციენტი დაუდგენელია, მაგ. რა იგულისხმება ქუჩის გაჩერებების კოეფიციენტში, ტერიტორიის კოეფიციენტში (თუ ეს არის ტერიტორიის ტიპი, რატომ არის აღებული კოეფიციენტის მნიშვნელობად აღებული 1 და არა 0.9?)

- **რა იგულისხმება ქუჩის გაჩერებების კოეფიციენტში**

ეს არის ОДМ 218.2.020-2012 -ის 8.6 მუხლში აღწერილი წესით განსაზღვრული სპეციალური კოეფიციენტებიდა f₃ – „ქუჩის გაჩერებების არსებობა“ (თეორიულად - ცხრილი 19-ის მე-3 სტრიქონი - გვ. 22), მაგრამ განზომილების ცხრილში ჩასატევად „არსებობის“ ნაცვლად ჩაიწერა „კოეფიციენტი“ **(გვ. 25, ცხრილი 23)**.

- **ტერიტორიის კოეფიციენტში (თუ ეს არის ტერიტორიის ტიპი, რატომ არის აღებული კოეფიციენტის მნიშვნელობად აღებული 1 და არა 0.9?)**

ტერიტორიის ტიპის კოეფიციენტი ჩაიდო 0,9 და **დაზუსტებულ ცხრილი 23-ში** შესაბამისად იქნა გადაანგარისებული გამომდინარე მახასიათებლები.

• გვ. 29-ზე წარმოდგენილი მოძრაობის ინტენსივობის მონაცემები არ ემთხვევა გვ. 28-ზე წარმოდგენილ ამავე მონაცემებს

შენიშვნა ეხება ცხრილი 28-ში (გვ.28) და ცხრილი 30-ში (გვ.29) მოყვანილ გზაჯვარედინის ფაქტიურ ნაკადებს. დაზუსტებული ცხრილი 30-ში შეტანილია სათანადო შესწორება და შესაბამისად, გადაანგარიშებით დაზუსტდა გამომდინარე მახასიათებლები (გვ. 29).

შენიშვნა :

განმარტებით ბარათში მოცემული ხარვეზების გასწორების თაობაზე განმარტებებთან ერთად, აქ აღნიშნული 23-ე, 30-ე და 75-ე ცხრილები, დაზუსტებული სახით, გადატანილია ბარათში და ისეა წარმოდგენილი სატრანსპორტო კვლევის ანგარიშის ბარათი მთლიანობაში.

ვაზისუბნის მე-4 მ/რ, ალუბლების ქუჩაზე (ნაკვეთი 01.17.07.031.068) დაგეგმილი მშენებლობისთვის ტრანსპორტის ზემოქმედების კვლევა



შემსრულებელი: ნინო ღოღობერიძე

შემსრულებელი: ვლადიმერ ჩხაიძე

თბილისი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია
ტრანსპორტის საქალაქო სამსახური

წერილის ნომერი: **16-01181853085**
თარიღი: **04/07/2018**

ადრესატი: შპს ენაიდის დირექტორს, ნინო ღოღობერიძეს
საიდენტიფიკაციო ნომერი: 404523994
მისამართი: საქართველო, ქ. თბილისი, ძველი თბილისის რაიონი, ალ. გრიბოედოვის ქუჩა N 5

ქალბატონო ნინო,

თქვენი 2018 წლის 14 ივნისის წერილისა (16N01181651325-16) და 20 ივნისის დამატებითი განცხადების (16N01181713065-16) პასუხად, რომელიც შეეხება ქ. თბილისში, ალუბლების ქუჩა N19-ის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ 01.17.07.031.068) მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობისთვის პროექტის შეთანხმებას (AR1563216), გაცნობებთ შემდეგს:

„მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების 47-ე მუხლის პირველი პუნქტის „ნ" ქვეპუნქტის თანახმად II, III, IV კლასის შენობა-ნაგებობის არქიტექტურული პროექტის შემადგენლობა მოიცავს: ქალაქ თბილისის ტერიტორიაზე, ასევე – საგზაო მოძრაობის ორგანიზების სქემას საკვლევი (საჭიროების შემთხვევაში – საპროექტო ტერიტორიაზე) ტერიტორიის სატრანსპორტო/საგზაო ინფრასტრუქტურის დატანით (მათ შორის, ნაკადების რაოდენობის მიმართულებების მითითებით) და საპროექტო გადაწყვეტის ზეგავლენის შეფასებას არსებულ საკვლევ სატრანსპორტო/საგზაო ინფრასტრუქტურაზე (გარდა 4000 კგ.მ-ზე ნაკლები ფართობის შენობა-ნაგებობების მშენებლობის ნებართვის გაცემისას);".

პროექტის ფუნქციიდან (საცხოვრებელი) და ინტენსივობიდან გამომდინარე მოსალოდნელია პიკის საათში სატრანსპორტო ნაკადების ზრდა. შესაბამისად, ტრანსპორტზე ზეგავლენის შესაფასებლად მიზანშეწონილია სატრანსპორტო კვლევის მომზადება. წარმოდგენილი პროექტის საგზაო ინფრასტრუქტურაზე ზეგავლენის შესაფასებლად, საკვლევი არეალი უნდა მოიცავდეს იმ გზებსა და მნიშვნელოვან კვანძებს, რომლებიც უბრუნველყოფს საპროექტო ტერიტორიის კავშირს ქალაქთან სხვადასხვა მიმართულებით, მიზიდვის ძირითადი ცენტრებისკენ. სატრანსპორტო კვლევის კომპონენტები და საკვლევი არეალები მოცემულია დანართის სახით.

გარდა ამისა, წარმოსადგენია საპროექტო ტერიტორიის საგზაო მოძრაობის ორგანიზების სქემა, მოქმედი სამართლებრივი აქტების შესაბამისად.

დანართი 1: 3 ფურცელი

დანართი 2: 1 ფურცელი

დანართი 3: 1 ფურცელი

პატივისცემით,

ტრანსპორტის საქალაქო სამსახური-პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (საქალაქო სამსახურის უფროსი) შამუკა შუმლაძე

	წინასაპროექტო კვლევა	საკვლევი ტერიტორია	განმარტება
1	**საკვლევი ტერიტორიის სატრანსპორტო შესწავლა**		ზეგავლენის შესაფასებელად საჭიროა არსებული სატრანსპორტო მდგომარეობის შესწავლა საკვლევი არეალის ფარგლებში
1.1.	საკვლევი ტერიტორიის საგზაო ინფრასტრუქტურის კვლევა და სქემა	*ქუჩები: ალუბლების ქუჩა, შ.პეტეფის ქუჩა, 17 შინდისელი გმირის ქუჩა* *კვანძები: 1.შ.პეტეფის-მუსხელიშვილის-ალუბლების ქუჩა, 2.მანდელშტამის-პეტეფის-17 შინდისელი გმირის, 3. 17 შინდისელი გმირის-ჯავახეთის*	წარმოდგენილი პროექტის საგზაო ინფრასტრუქტურაზე ზეგავლენის შესაფასებლად, საკვლევი ტერიტორია უნდა მოიცავდეს პირველი რიგის იმ მაგისტრალურ გზებსა და ძირითადი კვანძებს, რომელიც უზრუნველყოფს საპროექტო ტერიტორიის კავშირს ქალაქთან სხვადასხვა მიმართულებით.
1.2.	ქვეითთა მოძრაობის კვლევა და საქვეითე მისაწვდომობის რუკა	ე. სულაქველიძის, ალუბლების, შ. პეტეფის და თ. დავითაიას ქუჩები ავტობუსის უახლოვესი გაჩერებებეის გათვალისწინებით.	საქვეითე ინფრასქტრუქტურის შესაწვლა საჭიროა საპროექტო ტერიტორიამდე უსაფრთხო საქვეითე მისაწვდომობისათვის საჭირო მაკორექტირებელი ღონისძიებების დასაგენად. იმ შემთხვევაში, როდესაც განაშენიანება არ არის ფეხითმოსაიარულეთათვის ადვილად მისაწვდომი, მაცხოვრელბელთა ვიზიტორთა მგზავრობები უმეტესად მანქანით ხორციელდება. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია აღნიშნული პროექტისათვის, რადგან საპროექტო ტერიტორია მდებარეობს ორ მაგისტრალურ ქუჩას შორის, რაც ფეხით მოსიარულეთა გადაადგილებისათვის ბარიერს წარმოადგენს. ასევე მნიშვნელოვანია საზ. ტრანსპორტამდე უსაფრთხო წვდომის უზრუნველყოფა.
1.3.	საზოგადოებრივი ტრანსპორტის მისაწვდომობის კვლევა და რუკა		
2	**ინფორმაცია პროექტზე**		
2.1.	საპროექტო ტერიტორიის კ2 კოეფიციენტის საანგარიშო ფართი ფუნქციების მიხედვით		ეს მონაცემი საჭიროა საპროექტო ტერიტორიაზე მომავალი მაცხოვრებლების და ვიზიტორების დაახლოებითი რაოდენობის დასადგენად
2.2.	საპროექტო ტერიტორიის პერსპექტივაში მაცხოვრებელთა /ვიზიტორთა რაოდენობა		ამ მონაცემის საფუძველზე დადგინდება ახალი გენერირებული/მიზიდული მგზავრობების რაოდენობა.
3.	**საპროექტო ტერიტორიის გენერირებული/მიზიდული (ახალი) მგზავრობები**		
3.1.	საპროექტო ტერიტორიაზე გენერირებული/მიზიდული მგზავრობების რაოდენობა		
3.2	მგზავრობების მოდალური განაწილება		მოდალური განაწილება - გადაადგილების სხვადასხვა საშუალებების წილი მგზავრობების საერთო რაოდენობაში - მანქანა, საზ. ტრანსპორტი, ქვეითი, ტაქსი. ამ მონაცემის განსაზღვრა საჭიროა, იმის დასადგენად, რა ზემოქმედება ექნება დაგეგმილ პროექტს სამანქანო ნაკადებზე; ასევე საზ.

			ტრანსპორტის მიწოდების დასაგეგმად და საქვეითე ინფრასქტრუქტურის მაკორექტირებელი ღონისძიებების დასადგენად. იმისათვის, რომ დიდი მასშტაბის განაშენიანებას არ ჰქონდეს უარყოფითი სატრანსპორტო შედეგები, საჭიროა ღონისძიებების დაგეგმვა, მოდალურ განაწილებაში სამანქანო გადაადგილების წილის შემცირების მიზნით.
3.3.	მგზავრობების სივრცითი განაწილება		ამ მონაცემით განისაზღვრება, რომელ გზებზე და კვანძებზე იქნება ზეგავლენა; საზ. ტრანსპორტის რომელ მიმართულებაზე/ხაზებზე იქნება მომსახურების გაუმჯობესება საჭირო; სად იქნება საჭირო საფეხმავლო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება.
4	**ახალი გენერირებული მგზავრობების ზეგავლენის შეფასება**		
	• გზათა ქსელზე (მათ შორის ძირითად კვანძებზე); • საზოგადოებრივ ტრანსპორტზე; • საქვეითე ინფრასქტრუქტურაზე (ქვეითთა გადასასვლელების გათვალისწინებით)		კვლევის წინა კომპონენტებიდან გამომდინარე საჭიროა დაგეგმილი განაშენიანების ზეგავლენის შეფასება ტრანსპორტზე და ტრანსპორტის ცალკეულ სახეობებზე.
5	**რეკომენდაციები**		ზეგავლენის შეფასების საფუძველზე განისაზღვრება ის ღონისძიებები, რაც საჭიროა დაგეგმილი განაშენიანების მომავალი მაცხოვრებლების და ვიზიტორების ტრანსპორტით უზურუნველყოფისა და მოდალურ განაწილებაში მანქანის როლის შესამცირებლად.
6	**გამოყენებული ლიტერატურა და სტანდარტები**		კვლევის ტექსტური ნაწილში მითითებული უნდა იყოს კვლევის და ანილიზისას გამოყენებული სტანდარტები და მეთოდოლოგია და შესაბამისი ლიტერატურა.

თბილისის შინამეურნეობის სატრანსპორტო კვლევის მონაცემთა ბაზა და ანგარიში ხელმისაწვდომია შემდეგ მისამართზე: http://tbilisi.gov.ge/page/3218

ქ. თბილისის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის აქ მოცემული დავალების თანახმად, სატრანსპორტო ნაწილის მიზანია მოცემულ სივრცეში საცხოვრებელი სახლის მშენებლობით სატრანსპორტო ინფრასტრუქტურაზე ზეგავლენის, საზოგადოებრივ ტრანსპორტზე მისაწვდომობისა და ქვეითთა კომფორტული და უსაფრთხო გადაადგილების პირობების განსაზღვრა და კვლევის შედეგად გამოვლენილი ვიწრო ადგილების აღმოსაფხვრელად რეკომენდაციების შემუშავება.

1. საკვლევი სივრცე

პროექტით საცხოვრებელი სახლი აიგება ვაზისუბნის მე-4 მ/რაიონში ალუბლების ქუჩაზე მიწის ნაკვეთზე, რომელსაც ექნება საავტომობილო და საქვეითე გასასვლელები შ. პეტეფის, თ. დავითაიას, ნ. მუსხელისვილის ქუჩებზე, შიდაკვარტალური გასასვლელით ე.სულაქველიძის ქუჩაზე.

საკვლევი სივრცე არის საპოექტო სახლთან სატრანსპორტო და ქვეითთა საკომუნიკაციო თვალსაზრისით დაკავშირებული ძირითადი ქუჩები და გასასვლელები და სამი კვანძი.



სურ.1

საგზაო მოძრაობის მონაწილეთა ნაკადების კვლევა განხორციელდა სამი სხვადასხვა მეთოდით - პიკის საათებში სატრანსპორტო ნაკადების დათვლით („დრონების“ გამოყენებით აერო ფოტოგადაღების მასალების საფუძველზე) და სამგზავრო ტრანსპორტის ყველა რეგულარული სვლაგეზის მოძრავი შემადგენლობის და მგზავრთნაკადის დაფიქსირებით, თბილისის შინამეურნეობის სატრანსპორტო კვლევის ანგარიშით.

კვლევა ჩატარდა 1-ლ, მე-2 და მე-3 კვანძებში და საზოგადოებრივი ტრანსპორტის უახლოეს გაჩერებებზე ერთდროულად, დილის და საღამოს პიკის საათებში (09:00-10:00 და 18:00-19:00) ორი დღის განმავლობაში - 2018 წლის 19 (ოთხშ.) და 20 (ხუთშ.) სექტემბერს.

2. გათვალისწინებული გარემოებები და ანგარიშის ფორმირების გეგმა

წარმოდგენილი კვლევა მიზნად ისახავს განაშენიანების ობიექტის ირგვლივ არსებული სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის არსებული მდგომარეობის შესწავლას, ასევე საპროექტო ობიექტის მასზე შესაძლო გავლენის თვალსაზრისით. ამასთან, კვლევის ჩატარების პროცესში მხედველობაში იქნა მიღებული შემდეგი გარემოებები:

1. არსებული სატრანსპორტო ინფრაქსტრუქტურა და სატრანსპორტო კვლევის შედეგები, რომლებიც ეფუძნება „დრონების“ მეშვეობით მიღებულ ფირებზე ნაკადების დათვლის პრინციპს.
2. ასაშენებელი ობიექტის საცხოვრებელი ფონდის დამკავებლების სტრუქტურა მიღებულია თბილისის შინამეურნეობის სატრანსპორტო კვლევის ანგარით.
3. განაშენიანების განთავსება ქალაქის პერიფერიულ ზონაში ავტომატურად ქმნის ძირითად სატრანსპორტო სვლაგეზს მ/რაიონი - თბილისის ცენტრი.
4. აშენებული ობიექტის დამკავებლების საორიენტაციო განაწილება ტრანსპორტის სახეობათა შორის, მათი მგზავრობების სივრცითი განაწილება, რის მოდელადაც მიღებულია თბილისის შინამეურნეობის სატრანსპორტო კვლევის ანგარიში.
5. საზოგადოებრივი ტრანსპორტის საორიენტაციო დატვირთვა და მისი ცვლილება საპროექტო ტერიტორიაზე გენერირებული/მიზიდული მგზავრების რაოდენობით.
6. ასაშენებელი ობიექტის ფუნქციური დატვირთვიდან გამომდინარე (საცხოვრებელი სახლი) დამკავებლების მოთხოვნათა დაკმაყოფილების შესაძლებლობა ტრანსპორტის გამოყენების გარეშე (მაგ. 15-20 წუთის სავალ დისტანციაზე სავაჭრო და კვების ობიექტები, ომაღლესი და საშუალო სკოლები, სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება, საავადმყოფო, პოლიცია, მომსახურება და ა.შ.).

კვლევის ძირითადი მიზნის მისაღწევად გადაწყდა ინფორმაციის მიღების, დამუშავების და ანალიზის შემდეგი სტრატეგიის გამოყენება:

1. არსებული სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის და მისი გამტარუნარიანობის ტექნიკური ასპექტების ანალიზი.
2. არსებული სატრანსპორტო ნაკადების შესწავლა და გადაყვანილი მგზავრების სავარაუდო მოცულობის შეფასება.
3. განაშენიანების ობიექტის ექპლუატაციაში ჩაბარების შემდეგ მგზავრთნაკადის ახალად შექმნილი დატვირთვის შეფასება შემდეგ კომპონენტებზე აქცენტირებით:
   - გზათა ქსელზე და ძირითად საკვანძო გზაჯვარედინებზე;
   - საზოგადოებრივ ტრანსპორტზე;
   - საქვეითე ინფრასტრუქტურაზე (გადასასვლელების საჭიროების გათვალისწინებით).

4. განაშენიანების გავლენის შეფასება არსებულ სატრანსპორტო ლოგისტიკაზე და სჭიროების შემთხვევაში რეკომენდაციების შემუშავება.
5. საერთო დასკვნების ფორმულირება.
6. გამოყენებული მეთოდური ხასიათის ლიტერატურის და ინფორმაციის წყაროები.

დასახული სტრატეგიის განსახორიელებლად კვლევა ჩატარდა შემდგი კომპონენტების ფორმირებით:

1. საკვლევი ტერიტორიის სატრანსპორტო შესწავლა -
   1.1 საკვლევი ტერიტორიის საგზაო ინფრასტრუქტურის კვლევა (გამტარუნარიანობა, ნაკადები, რეზერვი) და სქემა.
   1.2 საქვეითე ინფრასტრუქტურის ინვენტარიზება და მისაწვდომობის რუკა.
   1.3 საზოგადოებრივი ტრანსპორტის მისაწვდომობა, სივრცითი დაფარვა და მოდულების კვლევა.
2. ინფორმაცია პროექტზე -
   2.1 საპროექტო შენობის საერთო ფართობი/კ2 საანგარიშო ფართობი (ფუნქცია).
   2.2 საპროექტო ტერიტორიის მაცხოვრებელთა/ვიზიტერთა რაოდენობა.
3. საპროექტო ტერიტორიის პერსპექტიული მგზავრობები -
   3.1 საპროექტო ტერიტორიის მიზიდული და გენერირებული მგზავრობები.
   3.2 მგზავრობების მოდალური განაწილება.
   3.3 მგზავრობების სივრცითი განაწილება.
4. ზეგავლენის შეფასება
   4.1 ზეგავლენის შეფასება საგზაო ინფრასტრუქტურაზე.
   4.2 ზეგავლენის შეფასება საქვეითე ინფრასტრუქტურაზე.
   4.3 ზეგავლენის შეფასება საზოგადოებრივ ტრანსპორტზე
5. შეფასებები და რეკომენდაციები.

3. საკვლევ არეალში არსებული საგზაო ინფრასტრუქტურა

საკვლევი არეალის ქალაქის ცენტრალურ ნაწილთან და სხვა უბნებთან კავშირების თვალსაზრისით უნდა აღინიშნოს ვარკეთილის საგზაო ქსელის ღერძი - ჯავახეთის ქუჩა. სწორედ მასთან არის მიერთებული 17 შინდისელი გმირის ქუჩა, საიდანაც იწყება ძირითადი სატრანსპორტო კავშირები ვაზისუბანთან. აქედან გამომდინარე, ქალაქის ტრანსპორტის სამსახურმა საკვლევად განსაზღვრა 3 კვანძი და მათთან შეხებაში ალუბლების, შ. პეტეფისა და 17 შინდისელი გმირის ქუჩები.

<u>სატრანსპორტო კვანძები:</u>

- შ. პეტეფის, თ. დავითაიას, ნ. მუსხელიშვილის და ალუბლების ქუჩების გადაკვეთის ადგილზე ვღებულობთ საკვლევ 1-ელ კვანძს, რომელთანაც მოცემული განაშენიანების ობიექტი უშუალო კავშირშია.

- შ. პეტეფი/მანდელშტამი/17 შინდისელი გმირი ქუჩების გადაკვეთა (მე-2 კვანძი). ეს არის ვაზისუბნის მიკრორაიონების ძირითადი საავტომობილო ნაკადების ჯავახეთის ქუჩასთან დამაკავშირებელი კვანძი, რომელშიც ასევე შედის პ. ხვედელიძის და ლ. ნაკაშიზე-ბოლქვაძის ქუჩები.

- ჯავახეთის/17 შინდისელი გმირი ქუჩების გადაკვეთა (მე-3 კვანძი), საიდანაც ხდება ვაზისუბნის მიკრორაიონების ძირითადი კავშირები ქალაქის სხვა უბნებთან.

საკვლევი ქუჩები (პარამეტრები იხ. ცხრილი 1-ში):

- თ. დავითაიას ქ. - საანგარიშო სიგრძედ აღებულია 165 მ. (საკვლევი ავტობუსის გაჩერებების მიმდებარედ ქვეითთა გადასასვლელამდე).

- შ. პეტეფის ქ. - სიგრძე 1605 მ..

- ალუბლების ქ. - სიგრძე 335 მ.. ქუჩის სავალი ნაწილის სიგანეა, ფრაგმენტულად, 4 - 6 მ., აქვს 1 სავალი ზოლი 3,5მ. და 2,5 მ. სიგანის ქუჩის კიდის ზოლი ერთ მხარეს, რომელიც გზის გასწვრივი პარკირებისათვის არის გამოყენებული. ტროტუარი პრაქტიკულად არ გააჩნია. საპროექტო სახლის საზღვრამდე კვანძიდან არის 175 მ., ხოლო სახლის დასავლეთ და აღმოსავლეთ საზღვრებთან ქუჩის სავალი ნაწილის სიგანეა 5,1 მ.;

- ნ. მუსხელიშვილის ქ. - საკვლევ 1-ელ კვანძთან აკავშირებს ვაზისუბნის მე-5 მიკრორაიონს. საანგარიშო სიგრძედ ნაგულისხმებია 85 მ..

- ო. მანდელშტამის ქ. - საანგარიშო სიგრძედ აღებულია 80 მ..

- 17 შინდისელი გმირის ქ. - სიგრძე 270 მ..

- ჯავახეთის ქუჩა - საანგარიშო სიგრძედ აღებულია 100 მ. (17 შინდისელი გმირის ქ-ის შუა ღერძის ხაზიდან ორივე მხარეს 50-50მ.).

საკვლევი ქუჩები უზრუნველყოფილია საგზაო ნიშნებით, 1-ელ და მე-2 კვანძებში ბორდიურებითაა მოწყობილი წრეზე შესასვლელი მიმმართველი და წრიული უსაფრთხოების კუნძულები. გზების სავალი ნაწილების საპირისპირო მოძრაობის გამყოფი და ერთი მიმართულებით მოძრაობის ზოლების გამყოფი ხაზები, ქვეითთა გადასასვლელების და ტროტუარის გასწვრივი პარკირების მონიშვნები საჭიროებს რეაბილიტაციას. ნ. მუსხელიშვილის და ალუბლების ქუჩებზე დასატანია საგზაო მონიშვნა.

4. საკვლევი არეალის სატრანსპორტო შესწავლა

სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის აღწერა და ანალიზი.

საკვლევი ინფრასტრუქტურის აღწერა გულისხმობს მისი საბაზო პარამეტრების მონაცემთა ბაზის ფორმირებას და მთავარი კომპონენტების სივრცითი განაწილების ჩვენებას ფოტომასალაზე და სქემატურ ფორმატზე დაყრდნობით. ამ ინფრასტრუქტურის ანალიზი მოიცავს ფაქტიური გამტარუნარიანობის დასადგენად შემამცირებელი β-კოეფიციენტების გაანგარიშებას ყველა მიმართულების მიხედვით. ანგარიშის საფუძველია საგზაო ქსელის კონსტრუქციული პარამეტრები, რომელთა მნიშვნელობა თავმოყრილია ქვემოდ. საანგარიშოდ მიღებულია საგზაო ქსელის შემდეგი პირობითი სქემა .



სურ. 2 საკვლევი არეალი სატრანსპორტო კვანძების მინიშნებით





სურ. 3 ასაშენებელი ობიექტის საზღვრების და მიმდებარე ტერიტორიის ფოტო და ანაზომი.



საპროექტო ობიექტისთვის ავტობუსების გაჩერებებთან საქვეითე მისაწვდომობის საკვლევ მიმართულებათა სქემატური ნახაზი

კვანძი 1-ს გამსხვილებული ნაკადების გათვლის ალგორითმი.







სურ. 4 სატრანსპორტო კვანძი 1-ს ფოტო, ნახაზი და ნაკადების ინდექსირების სქემა.

A_1 = №5 + №6 + №7 + №8

A_2 = №1 + №8 + №11 + №14

B_1 = №12 + №13 + №14 + №15

B_2 = №2 + №6 + №10 + №15

C_1 = №1 + №2 + №3 + №4

C_2 = №3 + №5 + №9 + №12

D_1 = №9 + №10 + №11 + №16

D_2 = №4 + №7 + №13 + №16

$A_1 + B_1 + C_1 + D_1 = A_2 + B_2 + C_2 + D_2$

კვანძი 2-ს გამსხვილებული ნაკადები







სურ. 5 სატრანსპორტო კვანძი 2-ს ფოტო, ნახაზი და ინდექსირების სქემა.

E_2 = №20 + №24 + №25 + №33

F_1 = №27 + №28 + №30 + №32 + №33

F_2 = №18 + №26 + №27 + №29

G_1 = №22 + №23 + №24 + №29 + №34

H_2 = №22

I_1 = №21 + №25 + №26 + №31

I_2 = №17 + №21 + №23 + №32

J_1 = №17 + №18 + №19 + №20

J_2 = №19 + №30 + №31 + №34

$J_1 + F_1 + G_1 + I_1 = J_2 + E_2 + F_2 + H_2 + I_2$

კვანძი 3. გამსხვილებული ნაკადები







სურ. 6 სატრანსპორტო კვანძი 3-ს ფოტო, ნახაზი და ინდექსირების სქემა.

K_1 = №35 + №36

K_2 = №38 + №46

L_1 = №44 + №46

L_2 = №39 + №41

M_1 = №38 + №39

M_2 = №36 + №40

N_1 = №40 + №41

N_2 = №35 + №44

$K_1 + L_1 + M_1 + N_1 = K_2 + L_2 + M_2 + N_2$



სურ. 7 კვანძი 1-2 შემაერთებელი შ.პეტეფის ქ. ტიპიური მონაკვეთის სქემატური გამოსახულება.



სურ. 8 კვანძი 2-3 შემაერთებელი 17 შინდისელი გმირის ქ. ტიპიური მონაკვეთის გამოსახულება..

ცხრილი 1.

საგზაო ქსელის საბაზო პარამეტრები β-კოეფიციენტების საანგარიშოდ:

ქუჩის კოდი	დასახელება	სიგრძე, მ	აღმართი, ‰	სავალი ნაწილის სიგანე, მ	საფა-რი	სავალი ზოლი		განაპირა ზოლი, მ	ტროტუ-არის სიგანე, მ	დაშორება გვერდ.წინა-ღობიდან, მ	კვანძი
						ერთ.	მ				
A SN	თ.დავითაიას ქ.	165	79	20	ასფ.	2+2	3,8	2,5	2,5	3,5	1
CJ SN	შ.პეტეფის ქ.	1605	48	14	ასფ.	1+1	4,0	3,0	2,0	2,5	1-2
D WE	ალუბლების ქ.	335	30	5,5[1]	ასფ.	1	3,0	2,5[2]	-	1,5	1
B WE	ნ.მუსხელიშვილის ქ.	85	35	12,5	ასფ.	1+1	3,5	2,5	2,0	2,5	1
I EW	ო.მანდელშტამის ქ.	80	12	11	ასფ.	1+1	3,0	2,5	2,0	2,5	2
FN WE	17 შინდისელი გმ.	270	7	14,5	ასფ.	2+2	3,0	2,5[2]	1,5/4,0	2,0/4,0	2,3
Ja SN	ჯავახეთის ქ.	100	40	18	ასფ.	2+2	3,8	3,0[2]	2,0[3]	2,0	3
Ka WE	კალოუბნის ქ.	65	31	17	ასფ.	2+2	3,0	2,5	3,0	3,5	3

შენიშვნა.

1 - ქუჩის სიგანე 5,1 მ არის მხოლოდ საპროექტო ობიექტთან მისასვლელ მონაკვეთზე 40მ მანძილზე.

2 - აღნიშნული პარამეტრი ფიქსირდება ერთი მხრიდან.

3 - მონაცემი მოყვანილია 17 შინდისელი გმირის ქუჩის მხრიდან (იხ. პუნქტი 18).

ფაქტიური სატრანსპორტო ნაკადების ანგარიშის მეორე მნიშვნელოვანი კომპონენტია β_0 - კოეფიციენტი, რომელიც დარგობრივი მეთოდური რეკომენდაციების თანახმად (ოდმ 218.2.020-2012) წარმოადგენს რამდენიმე შემამცირებელი კოეფიციენტის ნამრავლს:

$$\beta_0 = \beta_1 * \beta_2 * \beta_3 * \ldots\ldots * \beta_{14} \qquad (1)$$

სადაც $\beta_{1\text{-}14}$ - არის სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინების შემამცირებელი კოეფიციენტები. კერძოდ, β_1 - არის გზის სავალი ნაწილის სიგანის ფქტორის ამსახველი კოეფიციენტი და მისი რიცხვითი მნიშვნელობა შეირჩევა ცხრილიდან.

ცხრილი 2

სავალი ნაწილის სიგანის გავლენა β_1-კოეფიციენტის მნიშვნელობაზე

სიგანე, მ.	4,0	5,0	6,0	7,0	7,5	8,0
β_1	0,75/0,40	0,80/0,45	0,85/0,54	0,9/0,71	1,0/0,87	1,0/0,90

ცხრილში მოყვანილი კოეფეიციენტების მრიცხველის ოდენობა გამოიყენება მაღალი ტემპერატურების პირობებში, ხოლო მნიშვნელი - გზის პირზე გაწმენდის შემდეგ დაყრილი თოვლის არსებობის ფონზე.

β_2 - არის გზის სავალი ნაწილის გასწვრივ მდებარე განაპირა ზოლის გათვალისწინების ინდექსი, რომელიც შეირჩევა შემდეგი ცხრილის საფუძველზე:

ცხრილი 3

სავალი ნაწილის მიმდებარე ზოლის სიგანის ფაქტორი

სიგანე, მ.	*3,75*	*3,0*	*2,5*	*2,0*	*1,5*
β_2	*1,0*	*0,97*	*0,92*	*0,8*	*0,7*

β_3 - გამოიყენება გვერდითი შეფერხებების გათვალისწინების მიზნით და როგორც წესი მიიღება 1,0-ს ტოლად (ტროტუარების სიგანის გათვალისწინებით).

ცხრილი 4

გვერდითი შეფერხებების გათვალისწინების ინდექსი

მანძილი გზის კიდედან გვერდით წინაღობამდე, მ	მოძრაობის ზოლის სიგანე, მ					
	შეფერხება ერთი მხრიდან			შეფერხება 0რივე მხრიდან		
	3,75	3-3,75	3	3,75	3-3,75	3
2,5	1,00	1,00	0,98	1,00	0,98	0,96
2,0	0,99	0,99	0,95	0,98	0,97	0,93
1,5	0,97	0,95	0,94	0,96	0,93	0,91
1,0	0,95	0,9	0,87	0,91	0,88	0,85
0,5	0,92	0,83	0,80	0,88	0,78	0,75
0,0	0,85	0,78	0,75	0,82	0,73	0,7

β_4 - ითვალისწინებს სატრანსპორტო ნაკადის სტრუქტურას და შეირჩევა ცხრილიდან.

ცხრილი 5

სატრანსპორტო ნაკადის სტრუქტურის გათვალისწინების ინდექსი

ავტომატარებელის წილი ნაკადში, %	მსუბუქი ავტომობილის წილი ნაკადში, %				
	100	80	50	20	10
0	0,99	0,98	0,94	0,90	0,86
5	0,97	0,96	0,91	0,88	0,84
10	0,95	0,93	0,88	0,85	0,81
15	0,92	0,9	0,85	0,82	0,78
20	0,9	0,87	0,82	0,79	0,76
25	0,87	0,84	0,79	0,76	0,73
30	0,84	0,81	0,76	0,72	0,70

β_5 - არის გზაზე არსებული აღმართების გათვალისწინების ინდექსი პრომილებში.

ცხრილი 6.

აღმართების გათვალისწინების ინდექსი

აღმართი, ‰	ქანობის სიგრძე, მ	ავტომატარებელის წილი ნაკადში, ‰			
		2	5	10	15
20	200	0,98	0,97	0,94	0,89
20	500	0,97	0,94	0,92	0,87
20	800	0,96	0,92	0,90	0,84
30	200	0,96	0,95	0,93	0,86
30	500	0,95	0,93	0,91	0,83
30	600	0,93	0,90	0,88	0,80
40	200	0,93	0,90	0,86	0,80
40	500	0,91	0,88	0,83	0,76
40	800	0,88	0,85	0,80	0,72
50	200	0,9	0,95	0,80	0,74
50	500	0,86	0,8	0,75	0,70
50	800	0,82	0,76	0,71	0,64
60	200	0,83	0,77	0,70	0,63
60	500	0,77	0,71	0,64	0,55
60	800	0,70	0,63	0,53	0,47
70	200	0,75	0,68	0,60	0,55
70	500	0,63	0,55	0,48	0,41

β_6 - პირდაპირი ხილვადობის გათვალისწინების ინდექსი.

ცხრილი 7.

პირდაპირი ხილვადობის ინდექსი

კოეფი-ციენტი	პირდაპირი ხილვადობა არანაკლები, მ					
	50	100	150	250	350	>350
β_6	0,68	0,73	0,84	0,80	0,98	1,00

β_7 - გამოიყენება მოსახვევების ფაქტორის გასათვალისწინებლად.

ცხრილი 8

მოსახვევის ფაქტორი

კოეფი-ციენტი	ტრაექტორიის სიმრუდე გეგმარში, მ				
	100	250	450	600	>600
β_7	0,85	0,90	0,96	0,99	1,00

β_8 - სიჩქარის შეზღუდვის კოეფიციენტი:

ცხრილი 9

სიჩქარის შეზღუდვის კოეფიციენტი

კოეფი-ციენტი	სიჩქარის შეზღუდვის ნიშანი, კმ/სთ					
	10	20	30	40	50	60
β_8	0	0,76	0,88	0,96	0,98	1,00

β_9 - ნაკადების გადაკვეთის გათვალისწინების ინდექსი.

ცხრილი 10

ნაკადების გადაკვეთის ინდექსი

მარცხნივ გამხვევი ავტომობ. წილი,%	*T*-სებური			4-მხრივი		
	სავალი ნაწილის სიგანე , მ					
	7,0	7,5	10,5	7,0	7,5	10,5
I - უმართავი მოხვევა						
0	0,97	0,98	1,00	0,94	0,95	0,98
20	0,85	0,87	0,92	0,82	0,83	0,91
40	0,73	0,75	0,83	0,7	0,71	0,82
60	0,60	0,62	0,75	0,57	0,58	0,73
80	0,45	0,47	0,72	0,41	0,41	0,7
II - ნაწილობრივ მართვადი „უსაფრთხოების კუნძულებით“						
0	1,00	1,00	1,00	0,98	0,99	1,00
20	0,97	0,98	1	0,98	0,97	0,99
40	0.93	0,94	0,97	0,91	0,92	0,97
60	0,87	0,88	0,93	0,84	0,85	0,93
80	0,97	0,88	0,92	0,84	0,85	0,92
III - 100% მართვადი ნაკადების ზოლებად გამოყოფით						
0	1,00	1,00	1,00	1,00	1,00	1,00
20	1,00	1,00	1,00	1,00	1,00	1,00
40	1,00	1,00	1,00	1,00	1,00	1,00
60	1,00	1,00	1,00	1,00	1,00	1,00
80	0,97	0,98	0,99	0,95	0,97	0,98

β_{10} - გზის გვერდითი ზოლის ხარისხის ინდექსი.

ცხრილი 11

გვერდითი ზოლის ინდექსი

გრუნტის გვაერდითი ზოლი დამატებითი გამაგრების გარეშე	1,00
გვერდითი ზოლი გამაგრებულია ხრეშით	0,99
გვერდითი ზოლი გრუნტისაა, გაუსწორებელი, ნაკვალევით	0,90
გაუმაგრებელი გვერდითი ზოლი მშრალ მდგომარეობაში	0,90

β_{11} გზის საფარის ხარისხის გათვალისწინების კოეფიციენტი.

ცხრილი 12.

გზის საფარის იონდექსი

ხორკლიანი ასფალტის/ცემენტის საფარი, შავი ღორღის საფარი	1,00
ასფალტის საფარი ზედაპირის დამუშავების გარეშე	0,91
აკრებილი ბეტონის საფარი	0,86
ქვაფენილის საფარი ნაწილი	0,42
გრუნტის გა მშრალ მდგომარეობაში და მტვერის გარეშე	0,90
გამლვალი გრუნტის გზა	0,20

β_{12} - საგზაო ინფრასტრუქტურის კოეფიციენტი.

ცხრილი 13

საგზაო ინფრასტრუქტურის კოეფიციენტი

დასვენების მოედანი, ავტოგასამართი სადგური დაშორებით	1,00
იგივე , ძირითადი გზის გაფართოების ფორმატში	0,98
იგივე , ძირითადი გზის გაფართოების გარეშე	0,80
იგივე, ძირითადი გზისგან გამოივნის გარეშე	0,64

β_{13} - საგზაო ინდექსი.

ცხრილი 14

საგზაო მონიშვნის ინდექსი

ღერძული ხაზების არსებობა	1,02
ღერძული და ნაპირა ხაზების არსებობა	1,05
ზოლების გამოყოფა აღმართბში დამატებითი ზოლით	1,50
იგივე ოთხზოლიან გზაზე	1,23
იგივე სამზოლიან გზაზე	1,30
გზის საფარის ორმაგი ღერძული მონიშვნა	1,12

β_{14} - ნაკადში ავტობუსების წილის შეფასების ინდექსი.

ცხრილი 15

ავტობუსების წილის ინდექსი

ავტობუსების წილი ნაკადში ,%	მსუბუქი ავტომობილების წილი ნაკადში, %					
	90	50	40	30	20	10
0	0,82	0,76	0,74	0,72	0,70	0,68
5	0,80	0,75	0,72	0,71	0,69	0,66
10	0,77	0,73	0,71	0,69	0,67	0,65
15	0,75	0,71	0,69	0,67	0,66	0,64
20	0,73	0,69	0,68	0,66	0,64	0,62
30	0,70	0,66	0,64	0,63	0,61	0,60

ცალკეული საგზაო მონაკვეთებისთვის კოეფიციენტის საბოლოო მნიშვნელობა მიიღება ფორმულა (5) გამოყენებით, ანუ კერძო ინდექსების გადამრავლებით. შედგენილი სვლაგეზის

შემტხვევაში გამოიყენება ყოველი ასეთი მონაკვეთისთვის დამახასიათებელი კოეიციენტების წონის შეფასება შესაბამისი მონაკვეთის საერთო მარშრუტში წილობრივი მონაწილეობის პროპორციულად.

$$\beta_{\text{ჯ.}} = \sum_1^i (\beta_i * p_i) \qquad (2)$$

სადაც β_i - არის i-რი გზის მონაკვეთის ამსახველი შემამცირებელი კოეფიციენტი, p_i - ამავე უბნის წონის შეფასება მთელი სხვლაგეზის მანძილზე (წილადის სახით). ამ ალგორითმით გაკეთდა გათვლების 2 ჯგუფი, მ.შ. ერთია β-კოეფიციენტების გაანგარიშების არაწრფიული მოძრაობისთვის ნაკადების ჭრილში, რომლის შედეგები მოყვანილია ცხრ. 16-ში .

ცხრილი 16.

β-კოეფიციენტების გაანგარიშება აგრეგირებული ნაკადების ჭრილში

კო-დი	ქუჩა	სიგრ-ძე,მ	1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14	სსაერთო
A	დ.დავი-თაიას ქ.	165	1,00	0,98	0,98	1,00	0,98	1,00	1,00	1,00	1,00	1,00	0,91	1,00	1,02	0,70	0,61
			1,00	0,85	0,98	1,00	0,98	1,00	1,00	1,00	1,00	1,00	0,91	1,00	1,02	0,70	0,53
CJ	შ.პეტე-ფის ქ.	1605	1,00	0,90	0,98	1,00	0,82	1,00	1,00	1,00	1,00	1,00	0,91	1,00	1,02	0,73	0,49
			1,00	0,90	0,98	1,00	0,98	1,00	1,00	1,00	1,00	1,00	0,91	1,00	1,02	0,73	0,59
D	ალუბ-ლების ქ.	335	0,80	0,85	0,97	1,00	1,00	1,00	1,00	1,00	1,00	1,00	0,91	1,00	1,02	1,00	0,61
			0,80	0,85	0,97	1,00	0,98	1,00	1,00	1,00	1,00	1,00	0,91	1,00	1,02	1,00	0,60
B	ნ.მუსხელი-შვილის ქ.	85	1,00	0,75	0,98	1,00	0,95	1,00	1,00	1,00	1,00	1,00	0,91	1,00	1,02	0,80	0,52
			1,00	0,75	0,98	1,00	0,95	1,00	1,00	1,00	1,00	1,00	0,91	1,00	1,02	0,66	0,43
I	ო.მანდელ-შტამის ქ.	80	1,00	0,85	0,98	0,88	1,00	1,00	1,00	1,00	1,00	1,00	0,91	1,00	1,02	0,73	0,50
			1,00	0,85	0,98	0,88	0,98	1,00	1,00	1,00	1,00	1,00	0,91	1,00	1,02	0,77	0,51
FN	17 შინდ. გმირის ქ.	270	1,00	1,00	0,85	0,88	0,98	1,00	1,00	1,00	1,00	1,00	0,91	1,00	1,02	0,73	0,50
			1,00	1,00	0,85	0,88	1,00	1,00	1,00	1,00	1,00	1,00	0,91	1,00	1,02	0,73	0,51
J	ჯავახე-თის ქ.	100	1,00	0,90	0,99	0,88	1,00	1,00	1,00	1,00	1,00	1,00	0,91	1,00	1,02	0,75	0,55
			1,00	0,90	0,99	0,88	0,93	1,00	1,00	1,00	1,00	1,00	0,91	1,00	1,02	0,75	0,51
K	კალოუბ-ნის ქ.	65	1,00	0,90	1,00	0,88	0,96	1,00	1,00	1,00	1,00	1,00	0,91	1,00	1,02	0,82	0,58
			1,00	0,90	1,00	0,88	0,96	1,00	1,00	1,00	1,00	1,00	0,91	1,00	1,02	0,80	0,56
კო-დი	კვანძები	$R_{სამ.}$	1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14	საერთო:
1	გზაჯვ.	25	1,00	1,00	0,99	0,88	1,00	0,68	0,75	1,00	0,98	1,00	0,91	1,00	1,00	0,80	0,32
2	გზაჯვ.	75	1,00	1,00	0,99	0,88	1,00	0,68	0,75	1,00	0,98	1,00	0,91	1,00	1,00	0,82	0,32
3	გზაჯვ.	10	1,00	1,00	0,99	0,88	1,00	0,68	0,75	1,00	0,98	1,00	0,91	1,00	1,00	0,82	0,32

ქალაქის ქუჩებისა და მაგისტრალების რეალური გამტარუნარიანობის შეფასება ჩვენს კონკრეტულ შემთხვევაში ხდება ОДМ 218.2.020-2012 –ს მუხლი 9.7.2-ს შესაბამისად ფორმულით:

$$P=P_{max} \cdot n \cdot f_b \cdot f_{ს/ავტ.} \cdot f_i \cdot f_პ \cdot f_{ავტ.} \cdot f_{ტერ.} \cdot f_R \cdot f_V, \qquad (3)$$

სადაც გამოიყენება შემდეგი აღნიშვნები:

P_{max} – მაქსიმალური პრაქტიკული გამტარუნარიანობა, დაყვანილი ავტ./სთ.;
n – ერთი მიმართულებით მოძრაობის ზოლების რაოდენობა;
f_b – მოძრაობის ზოლის სიგანის შეფასების კოეფიციენტი;
$f_{სავტ.}$ – სატვირთო ავტომობილების კოეფიციენტი;
f_i – გრძივი აღმართის კოეფიციენტი;
$f_ჰ$ – პარკირებული ავტომობილების შეფერხების კოეფიციენტი;
$f_{ავტ.}$ – ავტობუსების შეფერხების კოეფიციენტი;
$f_{ტერ.}$ – ტერიტორიის ტიპის გათვალისწინების კოეფიციენტი;
f_R – გეგმაში მრუდეთა რადიუსის კოეფიციენტი;
f_V – სიჩქარის შეზღუდვების კოეფიციენტი.

მაქსიმალური პრაქტიკული გამტარუნარიანობა P_{max} მიიღება ОДМ 218.2.020-2012 –ს მუხლი 5.1.16-ს შესაბამისად ქუჩებისა და მაგისტრალების სახეობის მიხედვით:

ორზოლიანი ქუჩა	*3600 ავტ/სთ ორივე მიმართულებით (2 X 1800 ავტ/სთ)*
სამზოლიანი ქუჩა	*4000 ავტ/სთ ორივე მიმართულებით*
ოთხზოლიანი მაგისტრალი	
მ.შ. გამყოფი ზოლის გარეშე	*2100 ერთ ზოლში*
გამყოფი ზოლით	*2200 ერთ ზოლში*
ოთხზოლიანი	
მ.შ. გამყოფი ზოლის გარეშე	*2200 ერთ ზოლში*
გამყოფი ზოლით	*2300 ერთ ზოლში*
რვაზოლიანი	
მ.შ. გამყოფი ზოლის გარეშე	*2300 ერთ ზოლში*
გამყოფი ზოლით	*2300 ერთ ზოლში*

ცხრილი 17.

საგზაო ქსელის პარამეტრების გათვალისწინების კოეფიციენტების ანგარიში

კოეფიციენტები	*ფორმულები*	*ცვლადები*	*შენიშვნა*
ზოლის სიგანის კ-ტი	$f_b = 1 + \frac{(b-3,6)}{9}$	***b** – ზოლის სიგანე, მ*	***b ≥ 2,4 მ;*** ***თუ b > 4,8 მ, ერთი ზოლი შეიძლება განვიხილოთ ორ ზოლად***
გრძივი დახრის კ-ტი	$f_i = 1 - \frac{i}{200}$	***i** – გრძივი დახრა, %*	***–6≤%i≤+10,*** *მინუსი ნიშნავს დაღმართს*
პარკირების კ-ტი	$f_ჰ = \frac{n - 0,1 - \frac{18n_i}{3600}}{N}$	***n** – ზოლის რაოდენობა ჯგუფში;* ***$n_м$** – პარკირების მანევრების რიცხვი, ჰ/სთ.;* ***N** – მოძრაობის ინტენსიობა, ავტ/სთ;*	***$0 \le n_м \le 180$*** ***$f_p \ge 0,05$,*** ***$f_p = 1,0$** თუ პარკირება არ არის გათვალისწინებული*
ტერიტორიის ტიპის კ-ტი	*ქალაქის ცენტრში* ***$f_{ტერ.} = 0,9$**, სხვაგან* ***$f_{ტერ.} = 1,0$***	-	-

ნაკადში სატვირთო ავტომობილების წილის კ-ტი	$f_{ს/ავტ.} = 0,01 * [100 + n_{ს/ავტ.} * (K_{ს/ავტ.} - 1)]$	$n_{ს/ავტ.}$ – სატვირთო ავტ. წილი, %; $K_{ს/ავტ.}$ – პ/ავტ. დაყვანის კ-ტი, (2)	-

ავტობუსების შეფერხების $f_{ავტ.}$ კოეფიციენტი დამოკიდებულია გაჩერების განთავსებაზე, რომლებიც შეიძლება იყოს მოწყობილი სპეციალურ „ჯიბეში“ ან იყენებდეს განაპირა მარჯვენა ზოლს. ორივე შემთხვევაში მიკროავტობუსების თავისუფალი გაჩერებების გამო ანგარიშს ემატება ცალკეული მ/ავტობუსების ($n_{გაჩ.}$) გაჩერება ($K_{მ.ავტ.} = 1-5$ გაჩ./სთ.), რაც შეადგენს $S_{მ.ავტ.} = m_{მ.ავტ.} * K_{მ.ავტ.}$ და შემდეგი ფორმულებით იანგარიშება:

ცხრილი 18.

ავტობუსების შეფერხების კოეფიციენტის ანგარიში

გაჩერების ტიპი	*საანგარიშო ფორმულა*	*ცვლადები*	*შენიშვნა*
სპეციალურ „ჯიბეში“	$f_{ავტ.} = (n-14,14) * n_{გაჩ.} + S_{მ.ავტ.}) /3600)/n$	n – ერთი მიმართულების ზოლების ოდენობა; $n_{გაჩ.}$ – ავტობუსის გაჩერების რაოდენობა, ავტ/სთ.	თუ $0 \le n_{გაჩ.} \le 250$, მაშინ $f_{ავტ.} \ge 0,05$, თუ $n_{გაჩ.} = 0$, $f_{ავტ.} = 1,0$ ე, ხოლო $S_{მ.ავტ.} = m_{მ.ავტ} * K_{მ.ავტ.}$, $K_{მ.ავტ.} = 1-5$
მარჯვენა ნაპირა ზოლში	$f_{ავტ.} = (n-(t_{გაჩ.} + t_{მავტ.} * S_{მ.ავტ.}) /3600)/n$	n – ერთი მიმართულების ზოლების ოდენობა; $t_{გაჩ.}$ – გაჩერებათა გამოყენების დრო, სთ(წ), m - მ/ავტ. ხაზი.	თუ $0 \le t_{გაჩ.} \le 3600$, მაშინ $f_{ავტ.} \ge 0,05$, თუ გაჩერება არ არის, $f_{ავტ.} = 1,0$, ხოლო $S_{მ.ავტ.} = m_{მ.ავტ} * K_{მ.ავტ.}$, $K_{მ.ავტ.} = 1-5$

სიჩქარის f_V კოეფიციენტის ნიშნული დამოკიდებულია სიჩქარეთა შეზღიდვებზე და შეადგენს:

სიჩქარის შეზღუდვა, კმ/სთ	*10*	*20*	*30*	*40*	*50*	*60*
f_V *კოეფიციენტი*	*0,44*	*0,76*	*0,88*	*0,96*	*0,98*	*1,0*

ანალოგიურად იანგარიშება გეგმარის სიმრუდის f_R კოეფიციენტს, რომელიც დამოკიდებულია სიმრუდის რადიუსზე და შეადგენს:

სიმრუდის რადიუსი, მ	*<100*	*100-250*	*250-450*	*450-600*	*>600*
f_R *კოეფიციენტი*	*0,85*	*0,90*	*0,96*	*0,99*	*1,0*

ОДМ 218.2.020-2012 –ს მუხლი 4.19-ს შესაბამისად დატვირთვის კოეფიციენტი იანგარიშება:

$$z = N/P, \qquad (4)$$

სადაც N - ფაქტიური მოძრაობის ინტენსიობა, ავტ./სთ., P - პრაქტიკული გამტარუნარიანობა, ავტ./სთ.

მოძრაობის ზოლების ჯგუფის გამტარუნარიანობის ანგარიში.

სახელმძღვანელო დოკუმენტი ОДМ 218.2.020-2012 –ს ფორმულა (56) შესაბამისად მოძრაობის ზოლების გამტარუნარიანობის განსაზღვრის მიზნით საჭიროა გაჯერების ნაკადის ოდენობის ანგარიში. ამისთვის, ოდმ-ის მუხლი 8.6-ის აღწერილი წესით განისაზღვრება სპეციალური კოეფიციენტები, რომლებიც შედიან ფორმულაში (44) ავტომობილების დაყვანილი გაჯერების ნაკადის შესაფასებლად. გაჯერების ნაკადის საანგარიშოდ გამოიყენება ფორმულა:

$$S_k = S_0 \cdot n \cdot f_1 \cdot f_2 \cdot f_3 \cdot f_4 \cdot f_5 \cdot f_6 \cdot f_7 \cdot f_8 \cdot f_9 \cdot f_{10} \qquad (5)$$

სადაც S_o – არის გაჯერების იდეალური ნაკადი, პ.ავტ./სთ.; ***n*** – ერთი მიმართულების მოძრაობის ზოლების რაოდენობა ჯგუფში; f_1 – მოძრაობის ზოლის გამთვალისწინებელი კოეფიციენტი; f_2 – გრძივი დახრილობის გათვალისწინების კოეფიციენტი; f_3 – ქუჩის გაჩერებების გათვალისწინების კოეფიციენტი; f_4 – ავტობუსების მიერ გაჩერებებზე შექმნილი შეფერხების გათვალისწინების კოეფიციენტი; f_5 – ტერიტორიის ტიპის გათვალისწინების კოეფიციენტი; f_6 – მოძრაობის ზოლების დატვრითვის უთანაბრობის გათვალისწინების კოეფიციენტი; f_7 – ერთი მიმართულების ზოლების ჯგუფში მარცხნივ გახვევის ავტომობილებით შექმნილი შეფერხებების გათვალისწინების კოეფიციენტი; f_8 – იგივე, მარჯვნივ მოხვევის შემთხვევაში; f_9 – ქვეითად მოსიარულეთა მიერ გადასასვლელებზე შექმნილი შეფერხებების გათვალისწინების კოეფიციენტი მარცხენა მოსახვევის შემთხვევაში; f_{10} – იგივე მარჯვნივ შემობრუნების შემთვევაში.

ცხრილი 19

საგზაო ელემენტების გავლენის გათვალისწინების კოეფიციენების ანგარიში

კოეფიციენტები	ფორმულები	ცვლადები
ზოლის სიგანე	$f_1 = 1 + (b-3,6)/9$	***b*** – ზოლის სიგანე, მ
გრძივი დახრა	$f_2 = 1 - i/2000$	***i*** – მაგისტრალის გრძივი დახრა გზაჯვარედინის წინ, ‰
ქუჩის გაჩერებების არსებობა	$f_3 = (n-0,1-18n_i/3600)/n$	***n*** –ერთი მიმართულების ზოლების რაოდენობა ჯგუფში; n_i – მანევრის რიცხვი პარკირების დროს, მ/სთ.
ავტობუსის გაჩერება	$f_4 = (n - 14,4\ n_ა/3600)/n$	***n*** – ზოლი ჯგუფში; $n_ა$ – ავტობუსის გაჩერების სიხშირე, ავტ./სთ.
ტერიტორიის ტიპი	ცენტრში $f_5 = 0,9$ სხვა რაიონებში $f_5 = 1,0$	–
მოძრაობის ზოლების დატვირთვის უთანაბრობა	$f_6 = P_i/(P_{ზ.max}\ n)$	P_i – ერთი მიმართულების ზოლების ჯგუფში არსებული ნაკადი, პ.ავტ/სთ.; $P_{ზ.max}$ – მოძრაობის ინტენსიობა ჯგუფის ყველაზე დატვირთულ ზოლში , პ.ავტ./სთ.
მარცხენა მოსახვევი	უკონფლიქტო მოძრაობის გამოყოფილი ზოლი $f_7 = 0,95$; ზოლი ნაკადის განაწილებით $f_7 = 1/(1+0,05\ P_{მ})$	$P_{მ}$ – ზოლების ჯგუფში ავტომობილების წილი მარცხენა მოხვევით
მარჯვენა მოსახვევი	გამოყოფილი ზოლი $f_8 = 0,85$, ზოლი ნაკადების განაწილებით $f_8 = 1 - 0,15\ P_{მ}$ ერთზოლიანი შემთხვევა: $f_8 = 1 - 0,135\ P_{მ}$	$P_{მ}$ – ზოლების ჯგუფში ავტომობილების წილი მარჯვენა მოხვევით
ფეხით მოსიარულეთა გავლენა მარცხენა და მარჯვენა მოხვევის ნაკადებზე	მარცხნივ მოძრაობისას: f_9 მარჯვნივ მოძრაობისას: f_{10}	f_9 და f_{10} კოეფიციენტების ანგარიშის სპეციალური პროცედურა მოყვანილია ოდმ-ს 8.39-8.45 პუნქტებში

ОДМ 218.2.020-2012 –ს 8.11 მუხლის რეკომენდაციებით ვიანგარიშოთ სათანადო კოეფიცენტების კონკრეტულ მნიშვნელობა ცხრილში მოყვანილი ცალკეული რიცხობრივი პარამეტრების საფუძველზე, რომლებიც გამომდინარეობს საგზაო ინფრასტრუქტურის კონკრეტული გეომეტრიული ზომებიდან (ცხრ.12).

f_9 და f_{10} კოეფიციენტების ანგარიშის სპეციალური პროცედურის შემთხვევაში მაგალითისთვის მივიღოთ გზაჯვარედინის შემდეგი განზოგადოებული სქემა.

მოძრაობის საშუალო სიჩქარეები და ავარიულობის დონე იანგარიშება ОДМ 218.2.020-2012 –ს მუხლი 4.28-ს შესაბამისად შემდეგი ფორმულების გამოყენებით:

ცხრილი 20

მომსახურების დონის შეფასება

მოძრაობის მომსახურების დონე	დატვირთვის კოეფიციენტი z	მოძრაობის სიჩქარის კოეფიციენტი c	მოძრაობის გაჯერების კოეფიციენტი ρ	ავტომობილების ნაკადის დახასიათება	ნაკადის აღწერა	გზის ეკონომიკური ეფექტიანობა
A	**<0,20**	**>0,90**	**<0,10**	ავტომობილი მოძრაობს თავისუფლად მოძრაობის სხვა მონაწილეთა გავლენის გარეშე	ცალკე ავტომობილების თავისუფალი მოძრაობა დიდი სიჩქარით	არაეფ-ექტიანი
B	**0,20-0,45**	**0,70-0,90**	**0,1-0,3**	ავტომობილები მოძრაობენ ჯგუფებად გასწრების ხშირი განხორციელებით	მცირე ჯგუფებით მოძრაობა (2-3 ავტ.), გასწრება შეიძლება	დაბალი ეფექტი
C	**0,45-0,70**	**0,55-0,70**	**0,30-0,07**	ნაკადში რჩება დიდი ინტერვალები, მაგრამ გასწრება იკრძალება	დიდი ჯგუფებით მოძრაობა (5-14 ავტ.), გასწრება რთულია	ეფექტიანი
D	**0,70-0,90**	**0,40-0,55**	**0,70-1,0**	ავტომობილების უწყვეტი ნაკადი მოძრაობს მცირე სიჩქარით	კოლონად შენელებული მოძრაობა, გასწრება შეუძლებელია	არაეფექ-ტიანი
E	**0,90-1,0**	**<0,40**	**1,0**	ნაკადი მოძრაობს ხშირი გაჩერებებით, პერიოდული „საცობები“-თ, ზღვრული გამტარუნარიანობის დონე	მჭიდრო ნაკადი	არაეფექ-ტიანი
F	**>1,0**	**0,30**	**1,0**	მოძრაობის გაჩერება და უწყვეტი „საცოებები“-ს რეჟიმი	ზემჭიდრო ნაკადი	არაეფექ-ტიანი

ცხრილი 21

საშუალო სიჩქარის და ავარიულობის დონის პროგნოზირება

ზოლების რიცხვი ორი მიმართულებით	*საშუალო სიჩქარე, კმ/სთ*	*შეფარდებითი ავარიულობის კოეფიციენტი სსმ 1 მლნ. ავტ./კმ*
2	$V=61-(0,019-0,00014p_л)N+024p_л$	$k=0,1922\cdot10^{-2}N-0,063\cdot x10^{-4}N^{-2}+0,014\cdot10^{-6}N^{3}$
4	$V=65-(0,011-0,00012p_л)N+0,22p_л$	$k=0,45+0,62\cdot10^{-4}N$
6	$V=68-(0,008-0,00010p_л)N+0,21\ p_л$	$k=0,38+1,6\cdot10^{-4}N$
8	$V=70-(0,006-0,0008p_л)N+0,2p_л$	$k=0,36+0,58\cdot10^{-4}N$

სხვადასხვა დატვირთულობისას სიჩქარე იანგარიშება სიჩქარის კოეფიციენტით:

$$c = V_z/V_0, \qquad (6)$$

სადაც V_z – არის ფაქტიური მოძრაობის საშუალო სიჩქარე, კმ/სთ; V_0 – მოძრაობის მაქსიმალურად დასაშვები სიჩქარე მოცემულ პირობებში, კმ/სთ.

სატრანსპორტო ნაკადის სიმჭიდროვე იანგარიშება მოძრაობის გაჯერების კოეფიციენტით:

$$\rho = q_z/q_{max}, \qquad (7)$$

სადაც q_z – ფაქტიური მოძრაობის სიმჭიდროვე (იანგარიშება ფორმულით $q_z = z\cdot c$); q_{max} – მოძრაობის მაქსიმალური სიმჭიდროვე ($q_{max} = 1$).

ОДМ 218.2.020-2012 –ს მუხლი 5.5.1-ს შესაბამისად გზის ყველა კონკრეტული ელემენტის გამო გამტარუნარიანობის შემცირების ზემოქმედებას გააჩნია შეზღუდული არეალი, რომელიც შეირჩევა ქვემოდ მოყვანილი რეკომენდაციების თანახმად:

გზის ელემენტი	*გავლენის ზონა, მ*
დასახლებული ზონა	*300*
აღმართის მონაკვეთის სიგრძე, მ:	
>200 მ	*350*

<200 მ	*650*
გეგმარში მრუდეების რადიუსი, მ	
>600	*100*
<600	*250*
შეზღუდული სიგრძის მონაკვეთები	
>100	*150*
100-350	*100*
>350	*50*
ერთ დონეზე გადაკვეთა	*600*

რეალური ნაკადების ანგარიში

შესრულებული ანგარიშის მიხედვით კვლევაში ჩართული ინფრასქტრუქტურის ქუჩები და მაგისტრალები დატვირთვის რეჟიმი ფართო ფარგლებში მერყეობს. აუცილებელია მათი დეტალური ანალიზი ვიწრო ადგილების გამოსახვლენად. ამავე დროს, ანგარიში ადასტურებს, რომ ჯავახეთის ქ. დატვირთულობა აღწევს 0,6-ს ნიშნულს. დანარჩენი ქუჩების ეს პარამეტრი მერყეობს 0,1-0,5 ფარგლებში, ამიტომ დატვირთულობის მიხედვით განსახილველი ინფრასტრუქტურა შეიძლება მივაკუთვნოთ B/C კატეგორიას.

ცხრილი 22

საწყისი მონაცემები საგზაო დატვირთულობის სანგარიშოდ

№	მიმართულება (მაგისტრალი)	კოდი	1 ზოლის მაქს. გამტარუნ. პირ.ავტ./სთ.	ზოლების ჯგუფის საშტ. ნაკადი, ა. ავტ/სთ.	მ.შ. ამ ჯგუფის ყველაზე დატვირთულ ზოლში	ერთი მიმართულების ზოლი,.	ზოლის სიგანე, მ	ზოლის ჯგუფის გრძივი დახრა, ‰	ტერიტორიის ტიპი (ცენტრი - 1, სხვა - 0,9)	პარკირების მანეურების რიცხვი, ა/სთ.	ავტობუსების გაჩერების სიხშირე, ერთ/სთ.	**მარცხნივ** მოხვევის ავტ. წილი ზოლების ჯგუფში	ზოლების ტიპი (ცალფ. - 1, განყ. - 2)	**მარჯვენა** მოხვევის ავტ. წილი ზოლების ჯგუფში	ამ ზოლების ტიპი (ცალფ. - 1, განყ. - 2, ერთზოლიანი 3,)	ფეხით მოსიარ. გავლენა **მარცხენა** მოხვ.ნაკადზე	ფეხით მოსიარ. გავლენა **მარჯვენა** მოხვ.ნაკადზე	მწვანე შუქის ჩართვის ხანგრძლივობა, წ	რეგულირების ციკლის საერთო ხანგრძლივობა, წ
1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14	15	16	17	18	19	20
1	თ.დავითა იას ქ.	A_1	**2200**	**1638**	**900**	**2**	**3,8**	**-7,9**	**0,9**	**50**	**2**	**11**	1	1	2	0	0		
		A_2	**2200**	**936**	**500**	**2**	**3,8**	**7,9**	**0,9**	**30**	**1**	**9**	1	1	2	0	0		
2	ნ.მუსხელი-შვილის ქ.	B_1	**1800**	**417**	**250**	**1**	**3,5**	**-3,5**	**0,9**	**35**	**0**	**4**	1	1	2	0	0		
		B_2	**1800**	**1360**	**700**	**1**	**3,5**	**3,5**	**0,9**	**40**	**1**	**17**	1	1	2	0	0		
3	შ.პეტეფის ქ.	C_1	**1800**	**884**	**500**	**1**	**4**	**4,8**	**0,9**	**30**	**2**	**20**	1	1	2	0	0	55	75
		C_2	**1800**	**656**	**400**	**1**	**4**	**-4,8**	**0,9**	**36**	**3**	**18**	1	1	2	0	0	55	75
4	ალუბლე - ბის ქ.	D_1	**1800**	47	**30**	**1**	**3**	**3**	**0,9**	**12**	**0**	**0**	1	1	2	0	0		
		D_2	**1800**	35	20	1	**3**	**-3**	**0,9**	**15**	**0**	**0**	1	1	2	0	0		
5	აბაშიძე-ბოლ ქვაძის ქ.	F_1																	
		E_2	**1800**	352	**200**	**1**	**3**	**2,5**	**0,9**	**10**	**2**	**20**	1	1	2	0	0		
6	17 შინდის. გმირის ქ.	F_1	**2200**	772	**400**	**2**	**3**	**0,7**	**0,9**	**40**	**1**	**9**	1	1	2	0	0	25	85
		F_2	**2200**	910	**500**	**2**	**3**	**-0,7**	**0,9**	**45**	**2**	**8**	1	1	2	0	0	**25**	85
7	პ.ხვედელიძ ის ქ.	G_1	**1800**	761	**400**	**1**	**3**	**0,5**	**0,9**	**6**	**2**	**20**	1	1	2	0	0		
		G_2																	
8	დასახლე-ბაში	H_1																	
		H_2	**1800**	12	**12**	**1**	**3**	**-0,6**	**0,9**	**0**	**0**	**0**	1	1	2	0	0		
9	მანდელ-შტამის ქ.	I_1	**1800**	350	**200**	**1**	**3**	**-1,2**	**0,9**	**15**	**3**	**21**	1	1	2	0	0		
		I_2	**1800**	357	**200**	**1**	**3**	**1,2**	**0,9**	**20**	**2**	**10**	1	1	2	0	0		
10	შ.პეტეფის ქ.	J_1	**1800**	667	**400**	**1**	**4**	**-4,8**	**0,9**	**40**	**2**	**18**	1	1	2	0	0		
		J_2	**1800**	894	**500**	**1**	**4**	**4,8**	**0,9**	**50**	**3**	**20**	1	1	2	0	0		
11	ჯავახეთის ქ.	K_1	**2200**	1831	1000	2	**3,8**	**-4,0**	**0,9**	**25**	**4**	**2**	1	1	2	0	0	60	85
		K_2	**2200**	1715	900	2	**3,8**	**4,0**	**0,9**	**20**	**1**	**7**	1	1	2	0	0	60	85
12	კალოუბნის	L_1	**2200**	849	500	2	**3**	**3,1**	**0,9**	**60**	**1**	**7**	1	1	2	0	0		

	ქ.	L_2	2200	386	250	2	3	-3,1	0,9	70	2	10	1	1	2	0	0		
13	ჯავახეთის ქ.	M_1	2200	1305	700	2	3	4,0	0,9	10	2	2	1	1	2	0	0	60	85
		M_2	2200	1967	1000	2	3	-4,0	0,9	12	1	2	1	1	2	0	0	60	85
14	17 შინდის. გმირის ქ.	N_1	2200	873	500	2	3	-0,7	0,9	30	2	8	1	1	2	0	0	25	85
		N_2	2200	790	450	2	3	0,7	0,9	26	1	9	1	1	2	0	0	25	85

ცხრილი 23.

ქუჩების და მაგისტრალების გამტარუნარიანობის და დატვირთვის ანგარიშის შედეგები

№	მიმართულება (მაგისტრალი)	kodi	ზოლის სიგანის კოეფიციენტი, f1	გრძივი პროფილის კოეფიციენტი, f2	ქუჩის გაჩერებების კოეფიციენტი, f3	ავტობუსების გაჩერების სიმჭირის კოეფიციენტი, f4	ტერიტორიის ტიპის კოეფიციენტი, f5	ზოლების დატვირთვის უთანაბრობის კ-ტი, f6	მარცხნა მოსახვევის კოეფიციენტი, f7	მარჯვენა მოსახვევის კოეფიციენტი, f8	ფეხით მოსიარულეთა კ-ტი არეგულირ მიმართებას. f10	ფეხით მოსიარულეთა კ-ტი არეგულირ მიმართებას. f10	ფეხით მოსიარულეთა კ-ტი არეგულირ მიმართებას. f10	გაჯერების ნაკადი, ა.ავტ./სთ.	შეუწყობის მწვანე ფაზის ხანგრძლივობა, წ	შეუწყობის ციკლის საერთო ხანგრძლივობა, წ	შეუწყობის გავლენა გაჯერების ნაკადზე, ა.ავტ./სთ.	ფაქტიური ნაკადი დღეში, ა.ავტ/სთ	ფაქტიური ნაკადი საღამო ა.ავტ/სთ	დატვირთულობა დღეში, $Z_{დ}$	დატვირთულობა საღამოს, $Z_{ს}$
1	თ.დავითაძე	A_1	0,93	1	0,95	1,00	0,9	0,99	1,00	0	0	0	3472			3472	1638	1147	0,47	0,33
		A_2	1,02	1	0,95	1,00	0,9	0,94	0,95	0	0	0	3026			3026	936	655	0,31	0,22
2	ნ.მუსხელი-შვილის ქ.	B_1	0,99	1	0,90	1,00	0,9	1,67	0,95	0	0	0	2037			2037	417	292	0,20	0,14
		B_2	0,99	1	0,90	1,00	0,9	1,94	0,95	0	0	0	2354			2354	1360	952	0,58	0,40
3	შ.პეტფის ქ.	C_1	1,04	1	0,90	0,99	0,9	1,77	0,95	0	0	0	2252	55	75	1652	884	619	0,54	0,37
		C_2	1,04	1	0,90	0,99	0,9	1,64	0,95	0	0	0	2091	55	75	1534	656	459	0,43	0,30
4	ალუბლე - ბის ქ.	D_1	0,93	1	0,90	1,00	0,9	1,57	0,95	0	0	0	1799			1799	47	33	0,03	0,02
		D_2	0,93	1	0,90	1,00	0,9	1,75	0,95	0	0	0	2016			2016	35	25	0,02	0,01
5	აბაშიძე-ბოლქვაძის ქ.	F_1																		
		E_2	0,93	1	0,90	0,99	0,9	1,76	0,95	0	0	0	2006			2006	352	246	0,18	0,12
6	17 შინდის. გმირის ქ.	F_1	0,93	1	0,95	1,00	0,9	0,97	0,95	0	0	0	2858	25	85	841	772	540	0,92	0,64
		F_2	0,93	1	0,95	1,00	0,9	0,91	0,95	0	0	0	2692	25	85	792	910	637	1,15	0,80
7	პ. ხვედელი ძის ქ.	G_1	0,93	1	0,90	0,99	0,9	1,90	0,95	0	0	0	2170			2170	761	533	0,35	0,25
		G_2																		
8	დასახლე-ბაში	H_1																		
		H_2	0,93	1	0,90	1,00	0,9	1,00	0,95	0	0	0	1150			1150	12	8	0,01	0,01
9	მანდელ-შტამის ქ.	I_1	0,93	1	0,90	0,99	0,9	1,75	0,95	0	0	0	1990			1990	350	245	0,18	0,12
		I_2	0,93	1	0,90	0,99	0,9	1,79	0,95	0	0	0	2036			2036	357	250	0,18	0,12
10	შ.პეტფის ქ.	J_1	1,04	1	0,90	0,99	0,9	1,67	0,95	0	0	0	2134			2134	667	467	0,31	0,22
		J_2	1,04	1	0,90	0,99	0,9	1,79	0,95	0	0	0	2268			2268	894	626	0,39	0,28
11	ჯავახეთის ქ.	K_1	1,02	1	0,95	0,99	0,9	0,92	0,95	0	0	0	2959	60	85	2089	1831	1282	0,88	0,61
		K_2	1,02	1	0,95	1,00	0,9	0,95	0,95	0	0	0	3085	60	85	2178	1715	1201	0,79	0,55
12	კალოუბნის ქ.	L_1	0,93	1	0,95	1,00	0,9	0,85	0,95	0	0	0	2512			2512	849	594	0,34	0,24
		L_2	0,93	1	0,95	1,00	0,9	0,77	0,95	0	0	0	2286			2286	386	270	0,17	0,12
13	ჯავახეთის ქ.	M_1	0,93	1	0,95	1,00	0,9	0,93	0,95	0	0	0	2750	60	85	1941	1305	914	0,67	0,47
		M_2	0,93	1	0,95	1,00	0,9	0,98	0,95	0	0	0	2582	60	85	2061	1967	1377	0,95	0,67
14	17 შინდის. გმირის ქ.	N_1	0,93	1	0,95	1,00	0,9	0,87	0,95	0	0	0	2582	25	85	760	873	611	1,15	0,80
		N_2	0,93	1	0,95	1,00	0,9	0,88	0,95	0	0	0	2600	25	85	765	790	553	1,03	0,72

17 შინდისელი გმირის ქუჩის დატვირთულობის კოეფიციენტით (1,03) გამტარუნარიანობა პრაქტიკულად ამოწურულია და დაკვირვებებმაც აჩვენა, რომ ნაკადები მოძრაობს ქრონიკული საცობის პირობებში. შერბილების ზომად შესაძლოა განხილული იქნას პ. ხვედელიძის ქუჩაზე გამჭოლად ორმხრივი მოძრაობის ორგანიზება, საითაც ასევე გადმოედინება ამ ქუჩიდან ჯავახეთის ქუჩით სამხრეთისკენ მოძრავი ნაკადი. თანაც, ამ მიმართულებაზე დატვირთულობა ამჟამად კრიტიკულ ზღვარს ისედაც გადაცილებულია (0,86), ხოლო ამ ქუჩაზე კვანძიდან ჩრდილოეთის მიმართულებით დატვირთულობის კოეფიციენტი არის 0,71.

შუქნიშნით რეგულირებადი გზაჯვარედინის გამტარუნარიანობა

შუქნიშნებით ხისტი რეგულირების გზაჯვარედინების გამტარუნარიანობის ანგარიშისთვის საჭიროა გაჯერების S_k ნაკადების განსაზღვრა ყველა მიმართულებისთვის და ზოლების ჯგუფისთვის გამტარუნარიანობის D_i გათვლა შესაბამისი ფორმულით. ვინაიდან აქ ხისტი რეგულირება გამოიყენება, ნაკადების გადაკვეთის კონფლიქტური სიტუაციები საერთოდ არ იქმნება. საბოლოოდ, კვანძის გამტარუნარიანობა იანგარიშება ყველა ფაზაში ფაქტიური გამტარუნარიანობის შეჯამებით და მიღებული ჯამის შეფარდებით მაქსიმალური გამტარუნარიანობის პარამეტრების ჯამთან. მიღებული კოეფიციენტი ასახავს გზაჯვარედინის პოტენციალის გამოყენების დონეს. შუქნიშნით რეგულირებადი კვანძების ცალკეული მიმართულების ნაკადების ცხრილის გაანგარიშების ალგორითმი ეფუძნება ОДМ 218.2.020-2012 –ს რეკომენდაციებს.

შუქნიშნის სხვადასხვა ფაზაში სატრანსპორტო ნაკადების მონიტორინგისთვის ვიყენებთ ОДМ 218.2.020-2012 –ს მუხლი 8.4 მეთოდს, სადაც ცალკეულ უწყვეტი დაკვირვებების ხანგრძლიობა მიღებულია 15 წთ. ტოლად. ამდენად, პიკის საათი აქ იყოფა 4 მონაკვეთად, რომელთაგან ყოველი გრძელდება 15 წთ. პიკური მოძრაობის ინტენსიობა მიიღება მაქსიმალურად დაფიქსირებული მოძრაობის 4-ჯერადი ინტენსიობის ტოლად, სადაც ინტენსიობის სახით აიღება მონიტორინგის დაყვანილი მონაცემები. გამოყენებული მეთოდიკის მთავარი არსია გზაჯვარედინის გამტარუნარიანობის გაანგარიშება სატრანსპორტო ნაკადის ყველაზე დაძაბული ნიშნულის მიხედვით, რათა შუქნიშნიანი რეგულირების კვანძმა გარანტირებულად გაატაროს მოძალებული ავტომობილების პოტენციალურად შესაძლებელი რაოდენობა.

ცხრილი 24

შუქნიშნით რეგულირებადი კვანძის დილის მონიტორინგის შედეგების დამუშავების ცხრილი.

№	კვანძი 3	1	2	3	4	სულ:	საშ.	K_i	საანგარიშო ნაკადი
1	მიმართულება 1 (ჯავახეთის ქ. - M1)	423	458	487	462	1830	458	1,06	1948
2	მიმართულება 2 (ჯავახეთის ქ. - M2)	389	405	512	408	1714	429	1,19	2048
3	მიმართულება 3 (ჯავახეთის ქ. - K1)	201	206	234	205	846	212	1,11	936
4	მიმართულება 4 (ჯავახეთის ქ. - K2)	76	90	97	124	387	97	1,28	496
5	მიმართულება 5 (კალოუბნის ქ. - I1)	302	326	358	319	1305	326	0,98	1276
6	მიმართულება 6 (კალოუბნის ქ. - I2)	456	484	537	492	1969	492	1,09	2148
7	მიმართულება 7 (17 შინდ.გმირის ქ. N1	202	217	220	232	871	218	1,07	928
8	მიმართულება 8 (17 შინდ.გმირის ქ. N2	173	196	228	194	791	198	1,15	912

ცხრილი 25

შუქნიშნით რეგულირებადი კვანძის საღამოს მონიტორინგის შედეგების დამუშავების ცხრილი.

№	კვანძი 3	1	2	3	4	სულ:	საშ.	Kგ	საანგარიშო ნაკადი
1	მიმართულება 1 (ჯავახეთის ქ. - K1)	296	321	341	323	1281	320	1,06	1364
2	მიმართულება 2 (ჯავახეთის ქ. - K2)	272	284	358	286	1200	300	1,19	1434
3	მიმართულება 3 (ჯავახეთის ქ. - L1)	141	144	164	144	592	148	1,11	655
4	მიმართულება 4 (ჯავახეთის ქ. - L2)	278	63	68	87	496	124	0,70	347
5	მიმართულება 5 (კალოუბნის ქ. - M1)	211	228	251	69	759	190	0,36	276
6	მიმართულება 6 (კალოუბნის ქ. - M2)	319	339	376	344	1378	345	1,09	1504
7	მიმართულება 7 (17 შინდ.გმირის ქ. N1	141	152	154	162	610	152	1,07	650
8	მიმართულება 8 (17 შინდ.გმირის ქ. N2	121	137	156	136	550	138	1,13	624

გასაგები მიზეზების გამო შუქნიშნით რეგულირებადი გზაჯვარედინის ერთ-ერთი საკვანძო პარამეტრია რეგულირების ფაზების ხანგრძლიობის შეფარდება, რადგან სატრანსპორტო ნაკადის მოძრაობა დასაშვებია მხოლოდ მწვანე შუქის რეჟიმში. ქვემოდ მოყვანილი კვანძების რეგულირების ფაზების ფაქტიური შეფარდებები.

ცხრილი 26

შუქნიშანი 1 (ჯავახეთი/17 შინდისელი გმირის ქ. გადაკვეთა).

შუქნიშნებით რეგულირების ფაზები ცალკეული მიმართულებების მიხედვით

მიმართულება	რეგულირების ფაზები	
1		
2		
3		
4		
5		
6		
7		
8		
დრო	25 წამი	60 წამი

ამის საფუძველზე შეიძლება განისაზღვროს კვანძის მაქსიმალური გამტარუნარიანობა.

ცხრილი 27

შუქნიშნიანი გზაჯვარედინების საწყისი პირობები დილა

